

სისტემაში ავტორიზაცია / რეგისტრაციის დეტალური ინსტრუქცია

სისტემაში სტუდენტის ავტორიზაცია და რეგისტრაცია ხდება ბმულიდან <https://bafgfpaa.ge/>

თუ თქვენ რეგისტრირებული იყავით ძველ სისტემაში, მაშინ თქვენი მონაცემები ავტომატურად გადმოტანილი იქნება ახალშიც. სისტემაში შესასვლელად საკმარისია მხოლოდ ავტორიზაცია.

პირველ შესვლაზე მომხმარებლისა და პაროლის ველში უნდა შეიტანოთ თქვენი პირადი ნომერი. შემდგომში პაროლი შეგიძლიათ თქვენ თვითონ შეცვალოთ თქვენი პროფილიდან

პროგრამაში ჩართვის მსურველთათვის, აუცილებელია შეავსოთ შემდეგი მონაცემები:

სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სქესი, დაბადების თარიღი, მობილური ტელეფონის ნომერი, ელფოსტა (აქტიური) და მიუთითოთ პაროლი;

სისტემაში შესვლის შემდეგ თქვენი პროფილიდან შეგიძლიათ შეცვალოთ მონაცემები;

სასერტიფიკაციო პროგრამებში ჩასართავად პირველ რიგში უნდა გაწევრიანდეთ ბაფ-ში. ამისათვის საჭიროა;

- პირადი პროფილში მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი ინგლისურად (როგორც მითითებულია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში);
- ატვირთოთ პირადი ფოტოს 3x4 ელექტრონული ვერსია (JPG, PDF ფორმატში);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (JPG, PDF ფორმატში);
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან ან სტუდენტის ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან; (JPG, PDF ფორმატში);
- ბაფის ანგარიშზე გადაიხადოთ რეგისტრაციის 20 ლარი და 42 თვის საწევრო; (ანგარიშის ნომერს მიიღებთ ელფოსტაზე);

სასერტიფიკაციო პროგრამაში რეგისტრაციისთვის, თქვენი პირადი გვერდის მენიუდან „პროგრამაში რეგისტრაცია“ ირჩევთ სასურველ პროგრამას.

- კონკრეტულ პროგრამაში რეგისტრაციის ხელშეკრულება და პირობები შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ თქვენი პირადი გვერდიდან.
- პროგრამაში რეგისტრაციისთვის აუცილებელია ატვირთული გქონდეთ ყველა დოკუმენტი და გადახდილი გქონდეთ საიტზე რეგისტრაციის და საწევროს თანხა;
- შენიშვნა: 5-წიგნიან სასერტიფიკაციო პროგრამაში რეგისტრაციისთვის აუცილებელია დამატებით დიპლომის დანართის ატვირთვა

საგამოცდო საგანში რეგისტრაციისთვის , მენიუდან „გამოცდაზე რეგისტრაცია“, ირჩევთ კონკრეტულ საგანს (ან საგნებს).

- თითოეული საგნის გასწვრივ მითითებულია გამოცდის და შესაბამისი წიგნის ღირებულება, საგნის არჩევის შემდეგ შესაბამის ინვოისებს მიიღებთ ელფოსტაზე, ან შეგიძლიათ ნახოთ თქვენს პირად გვერდზე, მენიუში „საგამოცდო ინვოისები“;
- ჩამოთვლილი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში სისტემა არ დაგიშვებთ გამოცდაზე.

გისურვებთ წარმატებებს